ხელიდან გაშვებული გამარჯვება

ლენინგრადი. ს.მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 11 აგვისტო.

“ზენიტი” (ლენინგრადი) _ “დინამო” (თბილისი) 2:2 (1:1).

“ზენიტი”: ვოსტროილოვი, ნეპომილუევი, რუდი, სოვეიკო, სადირინი, ნაუმოვი, დერგაჩოვი, გუსევი, რიაზანოვი, ბურჩალკინი, ვასილიევი.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, იამანიძე, ილიადი, დათუნაშვილი, ხუციშვილი, ასათიანი, მესხი.

მსაჯი კ. ანძიულისი (ვილნიუსი).

დუბლიორები _ 0:0.

ხანგრძლივმა წვიმამ ლენინგრადის სტადიონი წყლით დაფარულ გუბეებად აქცია. თამაში უჭირდა ორივე გუნდს, ფეხბურთელები ხშირად უშვებდნენ შეცდომებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაყურებლები მოწმენი იყვნენ დაძაბული, საინტერესო ბრძოლისა.

მატჩი დაიწყო იმით, რომ დათუნაშვილმა მე-3 წუთზე ძელს მოახვედრა ბურთი. თბილისელებს არ შეუნელებიათ დასაწყისში აღებული ტემპი და იერიშები. 34-ე წუთზე იამანიძემ ზუსტი შორეული გადაცემით კარის წინ გაიყვანა დათუნაშვილი და ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში _ 1:0.

“ზენიტმა” მარცხს ძლიერი კონტრიერიშებით უპასუხა და ხუთიოდე წუთის შემდეგ ვასილიევმა ეფექტური დარტყმით გაიტანა საპასუხო გოლი _ 1:1.

სულ ახალი დაწყებული იყო მეორე ტაიმი, როცა თბილისელები კვლავ დაწინაურდნენ: სიჭინავამ რეიდი შეასრულა თავდასხმის ხაზზე, მიაწოდა მარცხნივ და მესხმა შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი ბადეში _ 2:1.

ამის შემდეგ ინიციატივა საკმაო ხანს “ზენიტს” ეპყრა ხელთ. დინამოელები გაძლიერებული ძალებით იცავდნენ თავს, მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვა მეკარე ურუშაძემ. ლენინგრადელებმა კარგად გამოიყენეს ერთ-ერთი ასეთი მომენტი და რიაზანოვმა აღადგინა თანაბრობა _ 2:2. აღსანიშნავია, ხურცილავას ძლიერი თამაში. კერძოდ, ლენინგრადელთა ერთი იერიშისას მან შეძლო ცარიელი კარიდან გამოეტანა თითქმის უიმედო ბურთი. მაგრამ გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ დინამოელებსაც. მატჩის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა ასათიანი პირისპირ აღმოჩნდა კარის წინ და ვერ გამოიყენა ეს უაღრესად ხელსაყრელი მომენტი. კარგად ჩაატარა თამაში დინამოს მარცხენა გარემარბმა მესხმა.

გელერი (ჩვენი კორ.).
“ლელო”, 13 აგვისტო, 1966 წ.